სამშენებლო ობიექტების
კომპიუტერული ტექნოლოგიებით
პროექტირების საინჟინრო ცენტრი
შპს პროგრესი
ს/კ 204970380

ENGINEERING CENTER OF
COMPUTER AIDED
DESIGN
PROGRESI LTD
I/C 204970380

02.07.2015 წ.

კონსტრუქციული დასკვნა

ქ. თბილისში, ქავთარაძის ქუჩაზე, თსუ მაღლივი კორპუსის მიმდებარედ (საკადასტრო კოდი: 01.14.04.028.030) ასაშენებელი მრავალსართულიანი საცხოვრებელი კომპლექსის მოსაზღვრე ტერიტორიაზე არსებული შენობა-ნაგებობების ურთიერთგავლენასთან დაკავშირებით.

ასაშენებელი მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსი მდებარეობს ქ. თბილისში, ქავთარაძის ქუჩაზე, ასაშენებელ შენობათა კომპლექსს აღმოსავლეთის მხრიდან ესაზღვრება შავიშვილის ქუჩაზე მდებარე საცხოვრებელი შენობა, დაახლოებით 11-12 მ მანძილზე. დასავლეთის მხრიდან ესაზღვრება უნივერსიტეტის ქუჩა. სამხრეთის მხრიდან შენობათა კომპლექსს ესაზღვრება თსუ მაღლივი კორპუსი დაახლოებით 40მ-მდე მანძილზე, ხოლო ჩრდილოეთის მხრიდან ვაჟა-ფშაველას IV კვარტლის კორპუსები დაახლოებით 23-24 მ მანძილზე.

საპროექტო შენობათა კომპლექსი წარმოდგენილია ოთხი ტიპიური ბლოკის (,,ბლოკი A", ,,ბლოკი B", ,,ბლოკი C", ,,ბლოკი D") და ორი პარკინგის ორსართულიანი შენობისაგან (,,პარკინგი-1" და ,,პარკინგი-2"). ტიპიური ბლოკი 20-სართულიანია სარდაფის გარეშე. იგი გეგმაში სწორკუთხა მოხაზულობისაა მაქსიმალური ზომებით ღერძებში: 29.80 X 13.80 მ; სართულის მაქსიმალური სიმაღლე შეადგენს 3.30 მ-ს, ხოლო მაქსიმალური მალი კი 7.00 მ-ია.

შენობის კონსტრუქციული ტიპი არის კარკასულ-კავშირებიანი სისტემა, რომლის მზიდი კონსტრუქციები გადაწყვეტილია მონოლითურ რკინაბეტონში.

სამშენებლო მოედანზე საინჟინრო გეოლოგიური კვლევები შესრულდა ტექნიკური დავალების შესაბამისად შპს ,,ახალი საქქალაქმშენპროექტი"-ს (ინჟ. გეოლოგი: ა. პასიკაშვილი) მიერ 2014 წელს. კვლევების შედეგად სამშენებლო ტერიტორიაზე, გარდა ნიადაგისა და ნაყარი გრუნტებისა გამოიყოფა 2 (ორი) საინჟინრო-გეოლოგიური ელემენტი: ძლიერ გამოფიტული ძირითადი ქანი, R_C=17 კგძ/სმ^2 (სგე-I) და გამოფიტული ძირითადი ქანი, R_C=30 კგძ/სმ^2 (სგე-II). დასაპროექტებელი შენობის დაფუძნება პროექტით გადაწყვეტილია მონოლითური რკინაბეტონის ფილის და საინექციო ხიმინჯების გამოყენებით სგე-I-ის ფარგლებში (კლდოვან ქანზე).

მთლიანობაში, გამომდინარე შენობის დაფუძნების პირობებიდან და მოსაზღვრე შენობა-ნაგებობების მდებარეობიდან საპროექტო შენობასთან მიმართებაში, ასაშენებელი შენობა საფრთხეს არ უქმნის მოსაზღვრე შენობა-ნაგებობებს, როგორც ნორმირებული მშენებლობის პროცესში, ასევე შემდგომი ნორმალური ექსპლუატაციის პირობებშიც.

შპს ,,პროგრესი"
მთ. კონსტრუქტორი:

გიორგი ჩიკვაიძე
ინჟინერიის დოქტორი მშენებლობაში
ევროკოდის ექსპერტ-კონსულტანტი